საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №235/17
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- და -- -- 2017 წლის 25 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 21 მაისის №235/17 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის შესაბამისად.

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2018 წლის 16 აგვისტოს.

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორების მითითებით მოსამართლემ უსაფუძვლოდ გააჭიანურა საქმის განხილვა.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 2 ოქტომბერს -- -- წარმომადგენელმა -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2015 წლის 21 ოქტომბერს -- -- სასამართლოში წარადგინა მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების დასტური. იმავე დღეს -- -- წარადგინა შესაგებელი.

2016 წლის 27 აპრილს -- -- სასამართლოს -- -- თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართა მოსამართლე -- -- და სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო ითხოვა სამოქალაქო საქმე განსახილველად გადასცემოდა სხვა მოსამართლეს.

საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2016 წლის 5 აგვისტოს მოსამართლემ მოხსენებითი ბარათით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს და განტვირთვის მიზნით ითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 5 აგვისტოს განცხადებით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის წარმომადგენელმა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე.

2017 წლის 20 ივნისს მოსამართლე -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს და განტვირთვის მიზნით ითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. 2017 წლის 23 ივნისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 3 ნოემბერს 12:00 საათზე -- სხდომის დარბაზში, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს და შედგა აქტი სატელეფონო საუბრის შესახებ.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად.

2017 წლის 20 ნოემბერს -- -- კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- სასამართლოს 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 12 აპრილის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 8 ივნისს. 2018 წლის 8 ივნისის საოქმო განჩინებით სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

2018 წლის 16 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, მოსამართლე -- -- წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ -- -- სასამართლოს მოსამართლედ განწესების შემდეგ, -- წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით მასზე გადანაწილებული იქნა სულ, დაახლოებით 462 საქმე, მათ შორის, 242 ახალი სარჩველი, ხოლო 200 სასამართლოს წარმოებაში უკვე არსებული საქმე, რომლებიც გადაეცა მოსამართლეთა მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, განტვირთივს მიზნით. მოსამართლის განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გადაცემული ყველა საქმის სასამართლოს სხდომაზე ზეპირი მოსმენით განსახილველად დანიშვნა ობიექტურად შეუძლებელი იყო, განსაზღვრა საქმეთა ერთგვარი პრიორიტეტულობა, რისთვისაც გათვალისწინებულ იქნა გარკვეული კრიტერიუმები. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, საქმის სასამართლოში შესვლის თარიღი. ამ თვალსაზრისით, განსახილველად ჩანიშვნისას გარკვეული უპირატესობა მიანიჭა იმ საქმეებს, რომლებიც სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე, საქმეებს, რომლებზეც ნამსჯელი იყო სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ და პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდგომაც, ხანგრძლივი დროის გასვლის მიუხედავად, მხარეებს საბოლოო შედეგი მიღებული არ ჰქონდათ. ასევე საქმეებს, რომლებზეც სასამართლოს სხვა შემადგენლობის მიერ უკვე ჩატარებული იყო არაერთი სხდომა, განვლილი იყო განხილვის ეტაპები და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მოლოდინისაგან განსხვავებით, შემადგენლობის ცვლილების გამო, მხარეები აღმოჩნდნენ საქმის თავიდან განხილვის დაწყების აუცილებლობის წინაშე. პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავები, შვილად აყვანის საქმეები. მოსამართლის განმარტებით, ის ფაქტი რომ მის წარმოებაში ყოფის პერიოდში არ მოხდა -- -- საჩივრის განხილვა, გამოწვეული არ ყოფილა მოსამართლის უმოქმედობით, არამედ აღწერილი ობიექტური მიზეზებით.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

საქმის განხილვის ვადა თუ იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, 50; Bock v. Germany, 35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531
[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

(Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H.V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, 93; Tiece v. San Marino, 31; Suermeli v. Germany, 129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, 98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს… მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.“[3]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო

[3] სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე.

განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

2016 წლის 5 აგვისტოდან 2017 წლის 20 ივნისამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისთვის საქმის გადაცემის დროისათვის, საქმის განხილვა მიმდინარეობდა 1 წელზე და 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. შესაბამისად, დარღვეული იყო არა მარტო სამოქალაქო საქმის განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადა, არამედ რთული კატეგორიის საქმეებისთვის გათვალისწინებული 5 თვიანი ვადაც. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმეს -- -- განიხილავდა 10 თვის და 15 დღის განმავლობაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტება და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ვინაიდან, ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა არ იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით ვარაუდის საფუძველს რომ მოსამართლემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა. ამავე კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №235/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი